ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ
და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

თიკა ქველაძე

რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში

(მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგალითი)

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ამირან ბერძენიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

რელიგია მნიშვნელოვანია თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში . მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა აღიარებს კონკრეტულ რელიგიურ მრწამსს, ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მეკვლია საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების საჭიროება. მარნეულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო იქნებოდა სხვდასხვა აღმსარებლობის მოსახლეობის დამოკიდებულება რელიგიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით . სწორედ, რომ სკოლაა ის ადგილი, სადაც ბავშვები იზრდებიან ერთად , სწავლობენ მეგობრობას , თანადგომას , სიყვარულს , პატივისცემას. აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს განსაზღვროს მოსახლეობის დამოკიდებულება სკოლებში რელიგიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით, მისი საჭიროება და მნიშვნელობა საგანმანათლებლო სივრცეში. მოცემული კვლევის ამოცანებია: აქვთ თუ არა სურვილი მოსწავლეებს მიიღონ სხვადასხვა რელიგიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებისა და საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების შესახებ; რელიგიის სწავლებით როგორ შეიცვლება სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი; რამდენად მნიშვნელოვანია რელიგია ადამიანების ცხოვრებაში; კვლევის ფარგლებში შედგა კითხვარი და გამოიკითხა 130 რესპონდენტი , ამის გარდა გამოიკითხა ოთხი ექსპერტი და ჩატარდა 7 სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის შედეგების მიხედვით მოსახლეობა საუბრობს რელიგიის მნიშვნელობაზე საგანმანათლებლო სივრცეში და მიაჩნიათ , რომ აუცილებელია რელიგიის სწავლება , რათა უფრო დაუახლოვდნენ მოსწავლეები ერთმანეთს სკოლაში და ზოგადი ცოდნა ჰქონდეთ რელიგიების ისტორიის შესახებ.

Annotation

Religion is important in modern human life. Most of the world's population acknowledges a particular religious belief, so I must research the need for religious education in public schools. Marneuli municipality is distinguished by its ethnic and religious diversity. In my opinion, it would be very interesting to see the population's attitude toward different confessions regarding the teaching of religion. I believe that school is the place where children grow together and learn friendship, support, love, and respect. This paper aims to determine the attitude of the population regarding the teaching of the subject of religion in schools. Let's see its need and importance in the educational space. This research asks: Are students willing to receive general information about different religions? Attitudes of clergy and society of different denominations about teaching the history of religion in schools in general; How will the attitude of students of different confessions towards each other be changed by teaching religion? How important is religion in people's lives? A questionnaire was made, and 130 respondents were interviewed as part of the research. Also, four experts were interviewed, and seven in-depth interviews were conducted. According to the research results, the population speaks about the importance of religion in the educational space and believes that it is necessary to teach religion to bring students closer to each other at school and to have general knowledge about the history of religions.

სარჩევი

შესავალი..... 5

თავი I. რელიგიისა და სოციოლოგიის კავშირი, თეორიული მიმოხილვა..... 10

1.1 რელიგიის ზოგადი ცნება..... 10

1.2 რელიგიის შესახებ (სოციოლოგიური მოსაზრებები, თეორიები)..... 13

1.3 საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების კონსტიტუციური ჩარჩოები..... 15

1.4 მარნეულის მუნიციპალიტეტის რელიგიური სურათი..... 17

თავი II . ემპირიულ მონაცემთა განზოგადება და ანალიზი..... 18

2.1 რაოდენობრივი კვლევა 18

2.2 ექსპერტთა გამოკითხვა 23

2.3 სიღრმისეული ინტერვიუ 27

დასკვნა 34

გამოყენებული ლიტერატურა 36

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

ციცერონს მიაჩნდა , რომ „რელიგია“ წარმოდგება ლათინური ზმნიდან, „relegare“ რაც ნიშნავს ხელახლა შეკრებას, თაყვანისცემას , განსჯას, მოწიწებას და ა.შ. აქედან გამომდინარე რელიგიაში მოიაზრება უზენაესი ძალებისადმი, ღვთისადმი მოწიწება. ლაქტაციუსის აზრით კი რელიგია გულისხმობს მოწიწებით კავშირს ღმერთთან - „ რელიგია არის ღმერთთან ადამიანის სულის ცხოველი ერთიანობა , რომელიც ადამიანის გულის სანახებში აღსრულდება“. (ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია, 2006)

რელიგია არის, არსებობს და კაცობრიობის არსებობიდან დღემდე მოსახლეობის დიდ ნაწილს მოიცავს . „Pew Research Center“ - ის შეფასებით, მსოფლიო მოსახლეობის 84% ეკუთვნის გარკვეული ტიპის რელიგიურ კუთვნილებას. რელიგია არის ორგანიზებული რწმენის, პრაქტიკისა და სისტემების ერთობლიობა, რომლებიც ყველაზე ხშირად დაკავშირებულია მაკონტროლებელი ძალის რწმენასა და თაყვანისცემასთან, როგორიცაა პირადი ღმერთი ან სხვა ზებუნებრივი არსება. რელიგია დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთან , კულტურასთან , წინასწარმეტყველებასთან , გადმოცემებთან , მორალთან, რომლებსაც კონკრეტული აღმსარებლობის ადამიანებისთვის აქვს სულიერი მნიშვნელობა და ის შეიძლება მოიცავდეს ქადაგებებს, რიტუალებს, ლოცვას, წმინდა ადგილებს, სიმბოლოებსა და დღესასწაულებს. მიუხედავად ამისა, რელიგიას უამრავი განმარტება აქვს . მას სხვადასხვა მეცნიერებები განსახვავებულად განმარტავენ . ცნობილმა ფსიქოანალიტიკოსმა ზიგმუნდ ფროიდმა აღწერა რელიგია, როგორც სურვილის შესრულების ფორმა. თუმცა, თანამედროვე ფსიქოლოგია აღიარებს, რომ რელიგიას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ინდივიდის ცხოვრებაში, გამოცდილებაში და გააუმჯობესოს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“. (Heyl, J. C, & MSW. 2023).

რაც შეეხება რელიგიის ადგილს საგანმანათლებლო სივრცეში , ეს თანამედროვე საზოგადოებისათვის ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი თემაა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და რთულ საკითხადაც კი მიიჩნევენ. უნდა განვიხილო, თუ რა ადგილი უჭირავს რელიგიას საჯარო სკოლებში,

რამდენად აუცილებელია ამ საგნის შემოტანა . მოცემული კვლევის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ დღეს საჯარო სკოლები რჩება ბრძოლის ველად , რომელშიც მასწავლებლების , მოსწავლეების , მშობლებისა და საზოგადოების ნაწილი ერთ-ერთ ფაქიზ საკითხად მიიჩნევს რელიგიის საგნის შემოტანას .

მაგრამ არსებობს მეორე მხარე, რომელიც მივიდა შეთანხმებამდე, რომ აუცილებელია რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე. უპირველასად სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი ინფორმაცია რელიგიების შესახებ , რომ უფრო მეტად იყვნენ დაახლოებული ერთმანეთთან, იცნობდნენ სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებს და პატივს სცემნდენ ერთმანეთის რელიგიას . (ტაბატაძე .შ 2018)

მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ რა გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე რელიგიების შესახებ ცოდნა . კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტმა , 2007 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსცა კვლევა „ რელიგია მყარი ოჯახები და დაბალი აკადემიური მოსწრება“ , რომელიც ეფუძნებოდა ეროვნული საგანმანათლებლო კვლევის შედეგებს. კვლევის მიხედვით ერთმანეთს შეადარეს რელიგიური სკოლის მოსწავლეები - აფრო და ლათინოამერიკელი მოსწავლეების აკადემიური მიღწევები ამერიკელი თეთრკანიანი ბავშვების შედეგებთან , რომლებიც ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში სწავლობენ. ამ კვლევის შედეგების მიხედვით უფრო მაღალი შეფასება ტესტებში აქვთ იმ ბავშვებს, რომლებიც სწავლობენ რელიგიურ სკოლებში , ვიდრე მათ ვინც ჩვეულებრი საჯარო სკოლებში სწავლობენ. კვლევის შედეგების მიხედვით განისაზღვრა რელიგიური სკოლის მოსწავლეებისა და ჩვეულებრი საჯარო სკოლის მოსწავლეების აკადემიური მიღწევის განსხვავების რამდენიმე მიზეზი, მაგალითად, რელიგიურ სკოლებში არის უფრო მეტი დისციპლინა და დავალებები; რელიგიურ სკოლებში მშობლები უფრო მეტად არიან ჩართულნი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა რელიგიას და ზოგადად რელიგიების ისტორიას . (ჯაჯანიძე.ე 2015)

საგანმანათლებლო სივრცე ის ადგილია, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ბავშვები , უმეგობრდებიან , დროის დიდ ნაწილს ერთად ატარებენ და ეცნობიან ერთმანეთს , ეს საგანი კი უფრო დააახლოვებს ერთმანეთთან სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებს.

კვლევის მიზანი

მოცემული კვლევის მიზანია განვსაზღვრო მოსახლეობის დამოკიდებულება სკოლებში რელიგიის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით, მისი საჭიროება და მნიშვნელობა საგანმანათლებლო სივრცეში.

კვლევის ამოცანები

- ვიკვლიო , აქვთ თუ არა სურვილი მოსწავლეებს, მიიღონ სხვადასხვა რელიგიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია.
- სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებისა და საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების შესახებ.
- რელიგიის სწავლებით როგორ შეიცვლება სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.
- ვიკვლიოთ, რამდენად მნიშვნელოვნია რელიგია ადამიანების ცხოვრებაში.

კვლევის ჰიპოთეზა

წინასწარი ვარაუდი/ჰიპოთეზაა, რომ საზოგადოება მომხრე იქნება ისწავლებოდეს რელიგია მარნეულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში .

თუ სკოლებში შესაძლებელი იქნება რელიგიის საგნის სწავლება , ამ შემთხვევაში საზოგადოება მომხრე იქნება მოსწავლეებს მიაწოდონ ზოგადი ინფორმაცია რელიგიის ისტორიის შესახება და არა კონკრეტულად რომელიმე რელიგიაზე გაამახვილონ ყურადღება.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად ანუ სამიზნე ჯგუფად შევარჩიე მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

კვლევის ობიექტებად შეირჩნენ ექსპერტები : განათლების სექტორში მომუშავე ადამიანები და სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები , კერძოდ, მართლმადიდებელი და მუსლიმი სასულიერო პირები.

მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოვიყენე , კვლევის როგორც თვისებრივი , ისე რაოდენობრივი მეთოდები. მოცემული კვლევა ტრიანგულაციურ მიდგომას ეფუძნება. თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუ და ექსპერტთა გამოკითხვა , ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან მასობრივი გამოკითხვა. კვლევა ჩატარდა 2023 წლის მარტი - მაისის პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტში. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოვკითხე მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 7 სიღრმისეული ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან (აბიტურიენტებთან). კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე ექსპერტების სახით გამოვკითხე სკოლის მასწავლებლები და სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები.

შერჩევა

კვლევისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ისეთი რესპონდენტების შერჩევა, რომლებიც იყვნენ სხვადასხვა აღმსარებლობის. ამიტომ ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების გამოკითხვა.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შედგა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც განვათავსე ონლაინ სივრცეში. ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 130-მა რესპონდენტმა, რომლებიც შეირჩა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

სკოლის მოსწავლეებთან (აბიტურიენტებთან , რომლებიც იყვნენ 18 წლის) ჩავატარე 7 სიღრმისეული ინტერვიუ, რათა მიმეღო კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და საკვლევი საკითხი სიღრმისეულად შემესწავლა.

რაც შეეხება ექსპერტთა გამოკითხვას, შევარჩიე 4 ექსპერტი , აქედან ერთი მუშაობს სკოლაში მასწავლებლად, ერთი ექსპერტი იყო მუსლიმი სასულიერო პირი, ორი მართლმადიდებელი სასულიერო პირი. უნდა აღინიშნოს , რომ ერთ-ერთი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ეროვნებით არის სომეხი. ექსპერტებმა საინტერესო ინფორმაცია მომაწოდეს სკოლაში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით - უნდა ისწავლებოდეს თუ არა რელიგია სკოლაში და ა. შ . საინტერესო იყო მათი მოსაზრებები. მათი დახმარებით სიღრმისეული ინფორმაცია მივიღე საკვლევ საკითხზე.

კვლევის შეზღუდვა

დროის სიმცირის გამო რაოდენობრივი კვლევის ონლაინ ჩატარება მომიწია. რის გამოც ვერ მოხერხდა რესპონდენტებთან პრისპირ/ უშუალო კაავშირი, მათ ემოციებზე დაკვირვება. თავის მხრივ ეს წარმოადგენდა,გარკვეულ შეზღუდვას, კარგი იქნებოდა რომ რესპონდენტები გამომეკითხა პირისპირ.

თავი I. რელიგიისა და სოციოლოგიის კავშირი, თეორიული მიმოხილვა

1.1 რელიგიის ზოგადი ცნება

„ რელიგია არის სამყაროს შემოქმედად და მმართველად აღიარებული ზებუნებრივი ძალების რწმენა და პატივისცემა , ამ გამოხატვის განსაკუთრებული ინტეგრირებული სისტემა; ადამიანის ემოციური და სულიერი დამოკიდებულება , ვინც აღიარებს ზებუნებრივი ძალების არსებობას“ (Ayto.J 2019)

რელიგიაზე უამრავი განსაზღვრება არსებობს. მაგალითად, სოციოლოგიაში სხვადასხვანაირად განისაზღვრება რელიგია : სოციოლოგი გერჰარდ ლენსკი რელიგიას განსაზღვრავს როგორც რწმენების სისტემას , რომელიც დაკავშირებულია რაღაც ძალებთან ,ეს ძალები ადამიანის ბედს განსაზღვრავენ რომელსაც გააჩნია რიტუალები , ამ რიტუალებს კი ასრულებენ გარკვეული ჯგუფის წევრები. სოციოლოგ რონალდ ჯონსტოუნის მიხედვით რელიგია განისაზღვრება, როგორც საკრალურთან დაკავშირებული სიმბოლური ფორმების , რწმენებისა და რიტუალების სისტემა, რომელთა მეშვეობით რელიგიური თემები რეაგირებენ იმაზე, რომელიც ზებუნებრივ და წმინდად მიაჩნიათ. ასევე, ის ჩამოთვლის ხუთ ძირითად ელემენტს, თუ რამდენადაა რწმენათა ესა თუ ის სისტემა რელიგია . ერთ-ერთი რაც მნიშვნელოვანია, რელიგია გულისხმომს მორწმუნე ადამიანების არსებობას , მორწუნეთა ჯგუფი მისი შემადგენელი ნაწილია, ასევე რელიგია დაკავშირებულია წარმოდგენებთან , რომელიც საკრალურად ითვლება, იგი მოიცავს იმ მოვლენებს, რომლებიც თაყვანისცემის , გაფრთხილების ობიექტებია. რელიგია გულისხმობს სასწაულებრივ მოვლენებს და მათთან დაკავშირებული სიმბოლოების სისტემას . ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სასწაულებრივი მოვლენები არ ხდება , ის დაკავშირებულია ზებუნებრივ ძალებთან , არსებებთან , რომლებიც არანაირი ბუნების კანონებით არ იზღუდება. მეოთხე, რელიგია არის რწმენებისა და წარმოდგენების ერთობლიობა , რომელიც ხსნის ზებუნებრივ ძალებს , ადამიანურ ბუნებას , რომელიც საკრალურად მიიჩნევა. და ბოლოს რელიგია თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ წარმოდგენებს ცხოვრების მართალ წესზე. სწორედ რომ ჯონსტოუნი აღნიშნავს, რომ ყველა ეს კომპონენტები რელიგიას ავსებს და

პირველი კომპონენტი მას სოციალურად მოიაზრებს, რადგან რელიგიურობა რელიგიური ჯგუფის წევრების ემოციური მდგომარეობიდან მომდინარეობს. (ქეცბაია.კ 2020)

რელიგიური ადამიანი თავის თავს უწესებს ნორმებს და ქცევას ჩარჩოებში აქცევს, რომელსაც უნდა მისდიოს, რადგან რელიგია არის მის ცხოვრებაში და მის ყველა წესი უნდა შეასრულოს. მაგალითად , ადამიანი თუ არის რელიგიური, აუცილებელია ილოცოს, გაისარჯოს, იმარხულოს, რათა შეძლოს მცნებების შესრულება . მორწმუნე ადამიანი საზოგადოებაში რელიგიური წესების მიხედვით იქცევა.

რელიგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რწმენათა და სიმბოლოთა არსებობა. რელიგია რწმენის გარეშე არ არსებობს . რწმენა წარმოადგენს კულტურულ მტკიცებულებას , უბრალოდ, გწამს. მაგალითად, მართლმადიდებლებს სწამთ, რომ იესო ქრისტე მესამე დღეს მკვდრეთით აღდა და „სიკვთილითა სიკვდილი დასთრგუნა“ , ასევე ის რომ სიკვდილის შემდეგ არსებობს ჯოჯოხეთი და სამოთხე .

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რელიგიის დიურკემისეული სოციოლოგიური თეორია. რელიგიის სოციოლოგიური განმარტების მიხედვით რელიგიის სამი ელემენტი არსებობს - პრიველი ელემენტია ზებუნებრივი ძალების რწმენა. არსებობს რაღაც ან ვიღაც, რომელმაც შექმნა ეს ყველაფერი. როგორც აღვნიშნე, მორწმუნე ადამიანისთვის რწმენა ყველაფერია , ის განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას რელიგიისადმი . რელიგია მხოლოდ რწმენას არ გულისხმობს, აქ აუცილებელია რელიგიური რიტუალები. მაგალითად, როდესაც მუსლიმანს ევალება რომ სწამდეს ღმერთის , აუცილებელია ეს დაამტკიცოს რიტუალებითაც - იაროს მეჩეთში , ილოცოს დღეში ხუთჯერ, სადაც არ უნდა იყოს და სხვა. და ბოლოს, უნდა არსებობდნენ მორწმუნეები, რომლებიც აუცილებელად გააერთიანებენ ადამიანებს სოციალურ სტრუქტურაში და მოაწესრიგებენ ურთიერთობებს. (კალჰუნ.კ, ლაითი.დ, კელერი.ს 2008)

რა თქმა უნდა, სოციოლოგიური განამრტების გარდა არსებობს რელიგიის , არასოციოლოგიური განამარტებები, რომელთა ამოსავალი წყარო არის რელიგიაში ღმერთის არსებობა - სამყაროში რაც არსებობს , წარმოიშვა ღმერთისგან. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ამის ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. (ქეცბაია , კ. 2020) ხოლო

ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით , რელიგია მიგვანიშნებს , რომ ის არის ადამიანსა და ღმერთს შორის არსებული და აწ დარღვეული კავშირის აღდგენა, რადგან ჩვენ დავკარგეთ ღმერთთან კავშირი . ამიტომ ის ამ სიტყვას აკავშირებს ზმნასთან Religere, ხელახალი კავშირი , კვლავ შეერთება . (პაპუაშვილი.ნ 2002)

ამრიგად, თითოეულ რელიგიაში წარმოუდგენელი მრავალფეროვნებაა - ზოგისთვის რელიგიის თეოლოგიური მრწამსი და თაყვანისცემის რიტუალებია მთავარია. ბევრი კი თავს გრძნობს რელიგიის კულტურის ნაწილად, მაგრამ შეიძლება საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა მის რიტუალებში. ზოგიერთი ადამიანი თავისუფლად ირჩევს რელიგიას, ზოგი კი - უარყოფს. ზოგი ფიქრობს რომ ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ კონკრეტულ რელიგიით და არ სურთ, ან არ შეუძლიათ მისი შეცვლა. ზოგიერთი მთავრობა ანიჭებს პრივილეგიებს ერთ რელიგიას, ხოლო ზოგი მთავრობა კი იცავს მოქალაქეების თავისუფლებას აირჩიოს სასურველი რელიგია. ასე, რომ განსხვავებული რელიგიის გამო არ უნდა ვდევნოთ და განვსაჯოთ ადამიანები. (Facing History & Ourselves, “ Religion and Identity” ,May 12 , 2020)

1. 2 რელიგიის შესახებ (სოციოლოგიური მოსაზრებები, თეორიები)

რელიგია ასოცირდება სიყვარულთან , მეგობრობასთან , მშვიდობასთან , ქველმოქმედებასთან და ბევრ სხვა სიკეთესთან . თუმცა ამავდროულად, მასთანაა დაკავშირებული სისხლისღვრა , ომი და სხვადასხვაგვარი ძალადობა. (ნამორაძე . ს 2018)

რელიგია ეხმარება ადამიანს იპოვოს პასუხი კითხვებზე, რომლებიც მის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს უკავშირდება. იმ სიტუაციებს, რომლებიც აზრსაა მოკლებული და ხშირად უსამართლოდ მივიჩნევთ, რელიგია მნიშვნელოვანს ხდის. სოციოლოგების აზრით, რელიგია ადამიანებს ეხმარება. ეს შეიძლება იყოს ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარი ფაქტების გაგება, რელიგია ეხმარება ადამიანებს ისეთი უსამართლობის გადატანაში, როგორიცაა სიღარიბე , ავადმყოფობა , კარიერული წარუმატებლობა დ სხვა . როდესაც ადამიანი იტანჯება და განიცდის საკუთარ მდგომარეობას, რელიგია ეხმარება ამის დაძლევაში და იმედით ავსებს. მაგალითად , ქრისტიანისთვის ამ სოფელში ტანჯვა არის გახარება გარდაცვალების შემდეგ. ზიგმუნდ ფროიდის მიხედვით, რელიგია ადამიანს ბავშობაში განცდილი უსუსურობის შიშისგან იცავს. მაქს ვებერის აზრით, რელიგიის დეფინიციის უმთავრესი პრინციპი სოციალური მოქმედების თეორიაა. მის მიხედვით რელიგია არის სოციალური მოქმედება, რომლის საფუძველიც ინდივიდის ან ჯგუფის პრობლემის გადაწყვეტაა. (ქეცბაია . კ 2020)

ყველა რელიგია საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სოციალური ფუნქცია , რომელსაც აინტერესებს საზოგადოებრივი პროცესები და მთელი რიგი სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები. რელიგია ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასა და ადამიანთა ცალკეულ გაერთიანებაზე , ეხმარება მათ წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაში. საინტერესოა მარქსის , დიურკემისა და მაქს ვებერის მოსაზრება რელიგიის სოციალური ფუნქციის შესახებ . ისინი არ იყვნენ მორწმუნეები , მაგრამ აღიარეს რელიგიის სოციალური ფუნქცია. დიურკემის აზრით, რელიგია ხელს უწყობს საზოგადოების გამყარებას, გაერთიანებას და აიმედებს ადამიანებს. მისი აზრით, რელიგიის სოციალური ფუნქცია, სწორედ, საზოგადოების კავშირია. მაქს ვებერმა კი შეისწავლა რელიგიურ და სოციალურ ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირი. მისი აზრით, რელიგიური ხასიათის სოციალური ცვლილებები მეტწილად გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ

ცვლილებებზე. მაგალითად, პროტესტანტიზმა საფუძველი ჩაუყარა დასავლეთის კაპიტალიზმს. მათთვის მატერიალური წარმატება იყო ღმერთის მიერ ბოძებული ჯილდო და ესმსახურებოდნენ ღმერთს. ვებერმა კი სცადა გაერკვია რა გავლენას ახდენდა რელიგია სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე განსხვავებულ კულტურებში. ვებერს მიაჩნდა რომ რელიგია დაკავშირებულია კულტურულ და სოციალურ ფაქტორებთან . (ჩიკვილაძე. ნ 2006)

ამრიგად , რელიგიისადმი სოციოლოგიური მიდგომა არის განსხვავებული ,ის ყოველივე რელიგიურს სოციალურით ხსნის. სოციოლოგიას აინტერესებს რელიგია რამდენად ანიჭებს სოციალურ სინამდვილესს საზრისს. (ქეცბაია.კ 2020)

1.3 საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების კონსტიტუციური ჩარჩოები.

რელიგიის თავისუფლების და რელიგიის შესახებ სწავლების ძირითადი აქტები საჯარო სკოლებში არის: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, ზოგადი განათლების შესახებ კანონი და სხვა ნორმატიული აქტები . (ღვინიანიძე, ლ და ბარქაია, მ. 2014)

საქართველოს საჯარო სკოლებში ისწავლებოდა რელიგიის საგანი. 1988 წელს ჰუმანიტარული მიმართულების სასწავლებლებში შემოვიდა საგანი „ ქრისტიანული რელიგიის ისტორია“ რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ღირსშესანიშნავი ძეგლების შესწავლას და ზოგადად, ძეგლებზე რელიგიის გავლენის მნიშვნელობაზე . შემდეგ სკოლებს მიეცათ საშუალება აერჩიათ კვირაში ერთი საათი რელიგიის საგანის სწავლებისათვის. საქართველოს საპატრიარქო სამართლებრივი ჩარჩოების მიხედვით ერეოდა სკოლებში რელიგიის სწავლებაში. „განათლების შესახებ“ კანონის 18.2 მუხლის მიხედვით: „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა ითანამშრომლოს საქართველოს საპატრიარქოსთან სასკოლო გეგმის შემუშავებისას“ . (ტაბატაძე. შ 2018)

ასევე კონსტიტუციის მე-8 მუხლის მიხედვით : „ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან . საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველო სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით , რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8)

საპატრიარქოს ზეგავლენა საჯარო სკოლებზე თანდათანობით შემცირდა , როდესაც 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ,

რომელმაც განსაზღვრა განათლებისა და რელიგიის კავშირი, რადგან მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ის, რომ საჯარო სკოლები დამოუკიდებლები უნდა იყვნენ პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისგან, უნდა შემცირდეს ეკლესიის გავლენა განათლების პოლიტიკის ფორმირებაში. (ღვინიანიძე, ლ და ბარქაია, მ. 2014)

ახალი მიდგომის მიხედვით 2007 წლის მერე სავალდებულო საგნად სკოლაში შემოვიდა „ სამოქალაქო განათლება“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებისთვის ესწავლებინა სხვადასხვა აღმსარებლობის , ეროვნების , ტრადიციების მქონე ადამიანების პატივისცემა. მაგრამ „ სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში“ საუბარი იყო მხოლოდ იმის თაობაზე, რომ საქართველო რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანაა და არ იყო სხვადასხვა რელიგიების ისტორია განხილული. (ჯაჯანიძე.ე 2015)

2011 წელს კი შემუშავდა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლებისთვის, რომელიც სკოლებში დღესაც მოქმედებს .სწორედ ამ გეგმის მიხედვით , რელიგიის ისტორიისა და რელიგიის საკითხები ისწავლება ინტეგრირებულად , ესთეტიკური საგნებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფებში. (ტაბატაძე. შ 2018)

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რელიგიის ისტორიის საკითხები და რელიგია ისწავლება ეროვნული და მსოფლიო კულტურული ფასეულობების გაზიარების მიზნით. ზოგადად, ხელი შეუწყოს განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის გაზიარებასა და ადამიანის პატივისცემას. ამ გეგმის მიხედვით რელიგიის საგნის სწავლება არ არის სავალდებულო , მაგრამ სკოლებს უფლება აქვთ მოსწავლეებს შესთავაზონ სხვადასხვა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება , მაგალითად რელიგის შესახებ სწავლება და სხვა. (ღვინიანიძე, ლ და ბარქაია, მ. 2014)

1.4 მარნეულის მუნიციპალიტეტის რელიგიური სურათი

2002 წლის საყოველთაო აღწერით პირველად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა. ამ აღწერის მიხედვით, სულ საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 4371535 ადამიანს. ქვეყნის მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, მათ შორის მართლმადიდებელია 83,9%, კათოლიკე - 0,8%, სომხური გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრები 3,9% , მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრები 9,9%, იუდევლები - 0,1% , სხვა რელიგიის წარმომადგენლები კი- 0,8%. სულ ქვემო ქართლში ცხოვრობს 497530 ადამიანი: ქართველი - 222450 კაცი, აზერბაიჯანელი - 224606, სომეხი 31777 და მცირე რაოდენობით ცხოვრობენ , აფხაზები , ოსები , რუსები , ბერძნები , უკრაინელები , ქისტები და იეზიდები. აქედან 242086 ადამიანი არის მართლმადიდებელი , 1040 - კათოლიკე , სომხური გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენელი - 25688 ადამიანი, მაჰადიანი კი - 225657 ადამიანი, იუდეველი 110 ადამიანი, ხოლო სხვა სარწმუნოების ადამიაენბი კი 2949. რაც შეეხება მარნეულის მუნიციპალიტეტს, 2002 წლის აღწერის მიხედვით ცხოვრობს 118221 ადამიანი. აქ ცხოვრობენ როგორც ქართველები , ისე აზერბაიჯანელები, სომხები , რუსები, ქისტები და სხვები. აქედან ქართველი 9503 ადამიანია, სომხები 9329, ხოლო უმრავლესობა არის აზერბაიჯანელი - 98245 ადამიანი. ამიტომ, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ რელიგიური და ეთნიკური შემადგენლობით აზერბაიჯანელები ბევრად აღემატებიან როგორც მართლმადიდებლებს ისე სხვა სარწმუნოების ადამიაენებს. (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობა 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგად. ტომი I. თბ.2003წ)

თავი II . ემპირიულ მონაცემთა განზოგადება და ანალიზი

2.1 რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში გამოვკითხე მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130 რესპონდენტი, აქედან 71(54,6%) ქალია, ხოლო 59(45,4%) მამაკაცი.

რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები შემდეგნაირად განაწილდა: კვლევაში მონაწილეობა მიღეს 18 წლის ზემოთ მქონე ასაკის ადამიანებმა , აქედან რესპონდენტების უმეტესობა 65,4% მიეკუთვნება 18-23 წლის ასაკობრივ ჯგუფს, 20,8% მიეკუთვნება 24-28 ასაკობრივ ჯგუფს , 9,2% მიეკუთვნება 29-34 ასაკობრივ ჯგუფს , ხოლო 34 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება - 4,6% .

გამოკითხულ რესპონდენტთა ურავლესობა 59,2%, ცხოვრობს სოფელში , ხოლო 48,2% კი- რაიონულ ცენტრში. ვინაიდან ჩემი კვლევა ეხებოდა რელიგიის სწავლებას სჯარო სკოლებში , კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში. საინტერესო იყო გამომეკითხა სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, მარნეულის მუნიციპალიტეტი კი ამ მხრივ გამორჩეულია. ამიტომ შევეხე ეროვნების საკითხსაც, გამოკითხული რესპონდენტების 45,4% ეროვნებით ქართველია, 33,1% აზერბაიჯანელი, 18,5% სომეხი, ხოლო 3,1% რესპონდენტი რუსი. გამოკითხულ რესპონდენტთა 36,9% -ს აქვს მიღებული პროფესიული განათლება , 21, 5%-ს - უმაღლესი განათლება , 20,8% - არასრული უმაღლესი განათლება , 12, 3%-ს - სრული ზოგადი / საშუალო განათლება , ხოლო საზაბო / არასრული განათლენა კი- 8,5 %-ს. რესპონდენტთა უმრავლესობა 67% დასაოჯახებელია, 30% - დაოჯახებული, ხოლო 3% - განქორწინებული.

როგორც აღვნიშნე, მარნეულში ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები და შესაბამისად, რელიგიური მრავალფეროვნებაა. აქ ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები , სომხები და სხვები, რომლებთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აკავშირებთ. ისინი ცხოვრობენ ერთად , სწავლობენ ერთ სკოლაში. სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების ადამიანებს აქვთ კარგი ურთიერთობა. თითქმის არ არსებობს ისეთი ფაქტები, რომ რელიგიური მრწამსის გამო მომხდარიყოს მაგალითად,

ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაპირისპირება . მარნეულში სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანებისთვის არის სალოცავები- ტაძარი, მეჩეთი. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტებისთვის მეკითხა რომელ აღმსარებლობას მიეკუთვნებოდნენ. რესპონდენტთა 50 % მართლმადიდებელია, 21,5% შიიტი მუსლიმი, 12,3% სუნიტი მუსლიმი, ხოლო 16,2% სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელია ანუ სომეხი ქრისტიანი . მაგრამ აქ უნდა აღინიშნის ერთი რამ, სომხების ერთი ნაწილი არის მართლმადიდებელი და პროცენტულ განაწილებაში ჩანდა რომ ეროვნებით სომეხი არ მიეკუთვნებოდა სომხურ სამოციქულო ეკლესიას , ისევე როგორც ზოგიერთი აჭარელი მრწამსით არ არის მართლმადიდებელი.

რესპონდენტებს ვკითხე, თუ რამდენად რელიგიურები არიან და შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: 19,2% მიიჩნევს, რომ ძალიან რელიგიურია , 64,6% მიიჩნევს, რომ რელიგიურია , მაგრამ ძალიან არა, ხოლო 16, 2% საერთოდ არ არის რელიგიური . ასევე საინტერესო იყო მათი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად მნიშვნელოვანია რელიგია მათ ცხოვრებაში . რესპონდენტების უმრავლესობა 75% ამბობს რომ ძალიან მნიშვნელოვანია რელიგია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში . 17% - ის აზრით საკმაოდ მნიშვნელოვანია რელიგია მათ ცხოვრებაში, 8%-ის აზრით კი არ არის ძალიან მნიშვნელოვანი.

ამრიგად, ის რესპონდენტები, რომლებიც ამბობენ, რომ რელიგიურები არიან , მათ ცხოვრებაში რელიგიას გარკვეული ადგილი უჭირავს. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ღმერთი არის ის, ვინც მათ ეხმარება და ანიჭებს ბედნიერებას . რესპონდენტთა მცირე რაოდენობა კი თავს არ თვლის რელიგიურად.

გამოკითხულ რესპონდენტთა 33% კვირაში რამდენჯერმე ესწრება რელიგიურ მსახურებებს, 26,9%- თვეში ერთჯერ , 24,6%- მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე , 12,4% კი - ძალიან იშვიათად, ხოლო 3,1% ყოველდღიურად ესწრება რელიგიურ მსახურებებს. მსგავსი პასუხების დაფიქსირების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ადამიანების უმეტესობა მიიჩნევს რომ მისი რელიგიურობა არ გამოიხატება ეკლესიაში სიარულით. ისინი ფიქრობენ , რომ თუ ადამიანი მოინდომებს ღმერთთან საუბარს, არ არის სავალდებულო ხშირად , ყოველდღე ეკლესიაში, მეჩეთსა და სხვა

სალოცავ ადგილებში სიარული, დადექი სალოცავ კუთხესთან და ისე ილოცე. გამოიკვეთა რომ, რელიგიური ადამიანები ხშირად არ დადიან ეკლსიაში. მაგრამ მარნეულის მუნიციპალიტეტში, როდესაც არის სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულები, ამ შემთხვევაში ვინც არ დადის ტაძარსა თუ მეჩეთში , მონაწილეობენ შესაბამის რიტუალებში - მსვლელობა, ლოცვა ... შეიძლება ამით სურთ თავიანთი რელიგიურობა დაანახონ ერთმანეთს.

გამოკითხულთა უმრავლესობა 85,4% თვლის , რომ რელიგია, როგორც საგანი, უნდა ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში, 10%- მიიჩნევს, რომ არ უნდა ისწავლებოდეს, ხოლო 4,6%-მა საერთოდ უარი თქვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. აქედან გამომდინარე , შეიძლება ითქვას , რომ რესპონდენტების უმეტესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს რელიგიის საგნის შემოღებას სკოლებში, მიუხედავად იმისა , რომ მარნეულის მუნიციპალიტეტი რელიგიურად მრავალფეროვანია . პირიქით, მათ მიაჩნიათ , რომ რელიგიის სწავლება სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებს უფრო დააახლოვებს. მაგრამ, მაინც არის ადამიანების მცირე ნაწილი , რომელიც თვლის, რომ რელიგიის სწავლება, პირიქით, დაპირისპირებას, კონფლიქტს გამოიწვევს.

52,3% აზრით რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში უნდა იყოს არჩევითი და მოსწავლეთა სურვილზე დამოკიდებული, 45,4% კი - მიიჩნევს რომ სავალდებულო, ხოლო უარი პასუხზე აღნიშნა 2,3% -მა. რესპონდენტთა აზრით, რელიგიის სწავლება არჩევითი უნდა იყოს,რადგან ადამიანს აქვს თავისუფალი ნება და თავისი ნების საწინააღმდეგოდ ვერავინ ვერ აიძულებს ის ისწავლოს, რაც არ სურს. თუ ამ საგნზე დასწრება თავისუფალი იქნება, მოსწავლეებს უფრო დააინტერესებთ.

თუ ვინ უნდა ასწავლიდეს რელიგიის საგანს საჯარო სკოლებში, პასუხებიდან ჩანს , რომ რესპონდენტთა 46,9%-ის აზრით ამ საგანს უნდა ასწავლიდეს თეოლოგი. როგორც ვიცით თეოლოგი არის ის პიროვნება , რომელმაც იცის რელიგიების ისტორია, აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება თუ როგორ ასწავლოს ეს საგანი, როგორ მიაწოდოს სწორად ინფორმაცია ბავშვებს და მისი მოსაზრება არ იყოს მიკერძოებული რომელიმე რელიგიისადმი. 32,3% თვლის, რომ რელიგიის საგანი უნდა ასწავლოს სასულიერო პირმა (ნებისმიერი აღმსარებლობის). სხვადასხვა აღმსარებლობის რელიგიის

წარმომადგენლების აზრით , რელიგიის საგანს უნდა ასწავლიდეს მათი წარმომადგენელი სასულიერო პირი (მღვდელი, მოლა, და სხვა), 16,9% -მა აღნიაშნა, რომ - ნებისმიერი საგნის მასწავლებელი, ხოლო 3.9%-მა კი -რელიგიათმცოდნე ადამიანი.

კითხვაზე თუ რომელი რელიგიის სწავლებას ისურვებდნენ საჯარო სკოლებში, რესპონდენტებს შეეძლოთ მაქსიმუმ ორი პასუხი დაეფიქსირებინათ. მათი პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: უმრავლესობის 55%-ის აზრით უნდა ისწავლებოდეს მართლმადიდებლობა, 29%- ის აზრით - ისლამი, 10%-ის აზრით - ზოგადად ქრისტიანობა, 5% -მა აღნიშნა, რომ უნდა ისწავლებოდეს იუდაიზმი და ბუდიზმი, ხოლო სხვა პასუხი (1%) აღნიშნეს - რომ უნდა ისწავლებოდეს რელიგიების ისტორია, ბავშვი ზოგადად უნდა გაეცნოს ყველა რელიგიას , რომ წარმოდგენა ჰქონდეს რომელი რელიგიის მიმდევარია მისი მეგობარი. შედეგებიდან გამომდინარე , მართლმადიდებელი მიიჩნევს , რომ მართლმადიდებლობა უნდა ისწავლებოდეს, მუსლიმი ამბობს რომ ისლამი , სხვა კი თავის რელიგიას აღნიშნავს.

77,7%- ის აზრით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რელიგიის საგნის მეშვეობით მოსწავლეებს მიაწოდონ სხვადასხვა რელიგიების შესახებ ზოგადი ინფორმაცია, 16,2%-ის აზრით - უფრო მეტად მნიშვნელოვანია , ვიდრე უმნიშვნელო, 1,5%- ის აზრით - უფრო მეტად უმნიშვნელოა , ვიდრე მნიშვნელოვანი , ხოლო 4,6% მიიჩნევს , რომ არ არის მნიშვნელოვანი .

გამოკითხულთა უმრავლესობა 63,1% თვლის , რომ რელიგიური სიმბოლოები განთავსებული უნდა იყოს საჯარო სკოლებში, 15,4%-ის აზრით არ უნდა იყოს განთავსებული, 13,1%-ისთვის კი სულ ერთია იქნება თუ არა განთავსებული რელიგიური სიმბოლოები , ხოლო „ მიჭირს პასუხის გაცემა“ დააფიქსირა 8,5%- მა.

რესპონდენტთა უმრავლესობის 71, 5% აზრით რელიგიის სწავლება მოსწავლეებზე ძალიან კარგ გავლენას მოახდენს. 24,6%- ის აზრით - უფრო მეტად კარგს, ვიდრე ცუდს, 3,8% მიიჩნევს რომ უფრო მეტად ცუდი გავლნა ექნება, ვიდრე კარგი. პასუხების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტები სკოლებში რელიგიის სწავლებას ემხრობიან. რადგან, ფიქრობენ რომ მოსწავლეები უფრო მეტად ტოლერანტულები

გახდებიან, უფრო დაუმეგობრდებიან ერთმანეთს, განსხვავებული რელიგიის გამო არ მოხდება მათი დაპირისპირება .

კითხვაზე, თქვენი აზრით , რა დადებითი და უარყოფითი მხარე ექნება მარნეულის მუნიციპალიტეტში რელიგიის საგნის შემოღებას , რესპონდენტებმა დააფიქსირეს შემდეგი პასუხები: რესპონდენტთა უმრავლესობის 90% -ის აზრით რელიგიის საგნის შემოღება დადებითად იმოქმედებს მოსწავლეებზე , რელიგიური საკითხებისადმი გაუღრმავდებათ ცოდნა (რელიგიის ისტორიის სწავლება ძალიან დაეხმარება ბავშვებს გაიგონ ზოგადად რა არის რელიგია, რომელი რელიგიები არსებობს და რა არის მათ შორის განსხვავება) ; მათი აზრით - რელიგიის შესწავლით ბავშვი უკეთესობისკენ შეიცვლება , შეეძლება ერთმანეთისგან გაარჩიოს სიკეთე და ბოროტება; ვინაიდან მარნეული ეთნიკურად მრავალფეროვანი მხარეა, მოსწავლეებს ერთმანეთისადმი მეტი პატივისცემა და სიყვარული გაუჩნდებათ; ხოლო 10%- მა უარყოფითი მხარეებიც დაასახელა - თუ კომპეტენტური პიროვნება არ ასწავლის რელიგიის საგანას, შეიძლება მასწავლებლის მრწამსისა და იდეოლოგიის გამო დაიჩაგროს რომელიმე მოსწავლე, ამიტომ უნდა ასწავლიდეს კვალიფიციური, გადამზადებული , მასწავლებელი ; მათი აზრით, რელიგიის საგნის შემოღება არ იქნება კარგი სკოლებში - ვინაიდან, მარნეულის მუნიციპალიტეტი ეთნიკურად და რელიგიურად შერეული რეგიონია, არ იქნება სწორი რელიგიის საგნის სკოლაში შემოღება, რადგან გამოიწვევს დაპირისპირებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რელიგიის სწავლებას სკოლებში აუცილებლობად მიიჩნევენ ადამიანები , სწორედ რელიგია ნერგავს სიყვარულს და სადაც სიყვარულია , იქ იშვიათია დაპირისპირება , რადგან ჩვენ მარნეულის მუნიციპალიტეტზე ვსაუბრობთ, სადაც რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა, სკოლებში რელიგიის შემოღება ხელს შეუწყობს მოსწავლების დაახლოებას, მარნეულში მცხოვრებ ქართველებს, რომლებსაც აქტიური შეხება აქვთ მუსულმან საზოგადოებასთან, ეცოდინებათ, პირველ რიგში, თავიანთი სარწმუნოების არსი, რა არის განსხვავება ამ რელიგიებს შორის, ასევე, როგორ შეიძლება მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ.

2.2 ექსპერტთა გამოკითხვა

საბაკალავრო კვლევის ფარგლებში ჩავატარე ექსპერტთა გამოკითხვა. გამოიკითხა ოთხი ექსპერტი, ორი მართლმადიდებელი სასულიერო პირი, ერთი მუსლიმი სასულიერო პირი და ერთი სკოლის დირექტორი .

კვლევის ფარგლებში საჭირო იყო დამედგინა რელიგიის სწავლების საჭიროება და მნიშვნელობა საჯარო სკოლებში. დღეს ერთ -ერთ განსახილველ თემად ითვლება რელიგიის სწავლება სკოლებში , მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ არ უნდა ისწავლებოდეს , შეიძლება ამით შეილახოს ადამიანის უფლებები , ნაწილს კი მიაჩნია რომ აცილებელია რელიგიის დაბრუნება სკოლებში. ამიტომ, თავდაპირველად ექსპერტებს ვკითხე უნდა ისწავლებოდეს თუ არა რელიგია როგორც საგანი სკოლებში. ძალიან საინტერესო იყო მათი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ოთხივე ექსპერტმა აღნიშნა , რომ აუცილებელია რელიგიის სწავლა სკოლებში, შეიძლება სწავლება არ იყოს დოგმატური ღვთისმეტყველების ფორმით, მაგრამ აუცილებელია ზოგადი ინფორმაცია ჰქონდეთ მოსწავლეებს არა მარტო ქრისტიანობის შესახებ , არამედ ყველა რელიგიის შესახებ. „ *ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება შეიცნოს რელიგია, როგორც საგანი, როგორც სარწმუნოება. ბავშვს თავიდანვე სჭირდება აღზრდა როგორც ხორციელად ასევე სულიერად. შესაბამისად ბუნებრივია რელიგია უნდა ისწავლებოდეს სკოლაში.“(ექსპერტი დეკ.ა.)*

„ რელიგიის ისტორიის, წმინდანების ცხოვრების, რელიგიის ჩესების სწორი ცოდნა , სულიერ ერთობას შეუწყობს ხელს“ (ექსპერტი. მ.ა.)

როდესაც რელიგიაზე ვსაუბრობთ აუცილებელია ვიცოდეთ თუ რა არის რელიგია , რას მოიცავს ის , ზოგადად რა არის რწმენა . როგორც ვიცით რელიგიას მრავალი განმარტება აქვს , ქრისტიანული შეხედულების მიხედვით სხვანაირად განიმარტება . ზოგისთვის რწმენა დაკავშირებულია სჯეროდეს რაღაცის და რწმენა ჰქონდეს მისი. ამიტომ აქ აუცილებელი იყო გამეგო თუ რას ფიქრობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები ამ საკითხთან დაკავშირებით . მართმადიდებელი მღვდლების თქმით, რელიგია ეს არის ღმერთთან კავშირი. *„ ჩვენ ქრისტიანები ღვთისმოსაობის სახელით*

დაკავშირებული ვართ ღმერთთან და ამგვარ ურთიერთობას ეწოდება - რელიგია“ (ექსპერტი დეკ. გ.)

„ რელიგია ეს არის ურთიერთობა აბსოლუტთა, რა არის აბსოლუტი? ჩვენს შემთხვევაში ეს არის ღმერთი, ანუ ეს არის ურთიერთობა ადამიანსა და ღმერთს შორის, სადაც ხდება ადამიანის ღმერთთან შეერთება ანუ გაღმრთობა.“ (ექსპერტი დეკ. ა.). რელიგია ყველა მიმდევრისთვის ღმერთთან კავშირის წარმოადგენს და რა თქმა უნდა მუსლიმანისთვისაც ესაა რელიგია და სწორედ მუსლიმმა სასულიერო პირმა აღნიშნა, რომ *„ რელიგია არის ღმერთის კანონი, რომელიც ადამიანებს ანიჭებს ბედნიერებას ამ ქვეყანაზეც და იმ ქვეყანაზეც(გარდაცვალების შემდეგ)“ (ექსპერტი მ. ა.).* ხოლო რა არის რწმენა - *„ რწმენა ეს არის რელიგიის საფუძველი , მის საფუძველზე აღმოცენდა რელიგია - ამდენად, რწმენა , მორწმუნეობა და სარწმუნოება რელიგიის და რელიგიურობის სინონიმებია“ (ექსპერტი დეკ. გ.) .* რა თქმა უნდა რწმენაა დაიჯერო რელიგიის კანონები და წესები , გჯეროდეს რა არის სწორი და კარგი. როდესაც გწამს ღმერთი, გწამს გულით, გონებით. მართმადიდებლობაში ღმერთი ნეტარად იხსენიებს მათ, ვისაც არ უხილავს ის მაგრამ, სწამს. *„ წმინდა კირილე იერუსალიმელი ბრძანებს, რომ რწმენის ორი სახე არსებობს: რწმენა არის დოგმატური სწავლება, რაც ადამიანს ეძლევა განათლების კუთხით რწმენა და მეორე არის სული წმიდის მადლით, როდესაც ადამიანის გული და გონება იხსნება იმისთვის, რომ მიიღოს ეს სარწმუნოება.“ (ექსპერტი , დეკ.ა.).* რწმენა და რელიგია გადაჯაჭვულია ერთმანეთზე - არ არსებობს ერთ მეორის გარეშე.

საინტერესო იყო გაგვეგო რესპონდენტების აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა ასწავლოს რელიგიის საგანი სკოლებში. მათი თქმით, აუცილებელია , რომ ამ საგანს ასწავლიდეს კომპეტენტური პიროვნება , მცოდნე, სპეციალისტი, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია , რომ სწორად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს. სახელმწიფომ უნდა შექმნას სპეციალური კომისია, სადაც წარადგენენ კანდიდატებს და გადამზადების შემდეგ ასწავლიან სკოლებში. *„ რელიგიის საგანი უნდა ასწავლონ იმათ, ვინც იცის რელიგია. არ აქვს მნიშვნელობა სასულიერო პირია თუ საერო, მას უნდა ჰქონდეს განათლება და სწორად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს“ (ექსპერტი. დეკ.ა.) .* ერთ-ერთმა სასულიერო პირმა აღნიშნა , რომ მოსწავლეებს შეხვედრები აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებთან . *„შეხვედრები უნდა იყოს*

მეცნიერულ დონეზე (მაღალ დოენზე) , როდესაც ბავშვები შეკითხვებს დაუსვამენ სწორი , კონკრეტული პასუხები მიიღონ“ (ექსპერტი. მ.ა.). მაგრამ აქ უნდა გამოიყოს ის, რომ ერთ-ერთი სასულიერო პირი ასეთი შეხვედრების მოწინაღმდეგე იყო, ან თუ იქნება ასეთი შეხვედრები მართლმადიდებელ სასულერო პირთან უნდა იყოს. რადგან ის ჭეშმარიტ რელიგიად მიიჩნევს მხოლოდ მართლმადიდებლობას - *„ სახარება არის წიგნი სამარადისო, ყველა დროისა და ყველა ხალხისთვის გამოსადეგი, საჭირო და გასაგები, მხოლოდ ქრისტიანობამ აუწყა კაცობრიობას - ყველანი ერთმანეთის ძმები ხართ; კანონის წინაშე ყველა გაათანაბრა , მოსპო მონობა; იქადაგა საყოველთაო სიყვარულიი , რომელიც მოიცავს ყველას - განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა , ამიტომ მართლმადიდებლობა არის ჭეშმარიტი სარწმუნოება და მისი დამფუძნებელი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი.“ (ექსპერტი დეკ.გ.).*

სახელმწიფო ანიჭებს თავისუფლებას სკოლებს რელიგიის სწავლების კუთხით , მათ შეუძლიათ აირჩიონ ეს საგან ან უარი თქვან მის სწავლებაზე. ადამიანს თავისუფლება მიეცა არჩევანში , ამიტომ მას ვერავინ ვერ დააძალებს იმას, გააკეთოს რაც არ სურს. როგორც ვიცით, სხვადასხვა რელიგია არსებობს და საქართველოშიც არიან სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები , ამიტომ თუ რელიგიის სწავლებაზე ვსაუბრობთ, აქ იგულისხმება ზოგადად რელიის ისტორიის სწავლა , რადგან საჯაროა სკოლები და როგორც მართლმადიდებლები ,ასევე მუსლიმები და სხვა რელიგიის წარმოამდგენლები სწავლობენ. სკოლის დირექტორმა და ერთ- ერთმა სასულიერო პირმა აღნიშნა, რომ უნდა იყოს არჩევითი , გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების სურვილი. მაგრამ ორი სასულიერო პირი აღნიშნავდა, რომ ამ საგნის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. მართლმადიდებელი მღვდელი ამბობდა - *„ ქრისტიანობა რა არის? ქრისტიანობა არის თავისუფალი ნება, მაგრამ ჩვენ, ბუნებრივია, სკოლაში რომ მივდივართ, არავინ არ გვეკითხება მათემატიკა გვინდა, ქართული, სპორტი თუ სხვა. სხვადასხვა საგანს გვასწავლიან ჩვენი ნების გარეშე, რადგან უნდა აღვიზარდოთ განათლებულ ადამიანებათ , რათა ჩვენი ადგილი ვიპოვოთ ცხოვრებაში, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის განვითერებაში . ამიტომ არ უნდა იდგეს საკითხად ის არჩევითი უნდა იყოს თუ სავალდებულო. ბუნებრივია, სულს სჭირდება აღზრდა და ამ აღზრდას*

სჭირდება სულიერი განათლება, რომელსაც ადამიანი იღებს ეკლესიაში სულიერ მოძღვართან და სხვადასხვა მასწავლებელთან.“ (ექსპერტი დეკ.ა).

მნიშვნელოვანია გავიგოთ ექსპერტების მოსაზრაება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეცვლის რელიგიის საგნის შემოღება მოსწავლეების დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი. ოთხივე ექსპერტი ამბობდა რომ რელიგიის საგანი უფრო დაახლოვებს ერთმანეთთან მოსწავლეებს , უფრო ტოლერანტულები იქნებიან და როგორც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები უფრო მეტი ეცოდინებათ თავიანთი რელიგიის შესახებ. *„ავიღოთ აბრამისტული რელიგიები: ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა და სხვა კომფესიები, ისლამი და იუდაიზმი, ბუნებრივია ვსაუბრობთ ღმერთზე. რელიგიაში უმთავრესი წარმოდგენა არის ღმერთის, როგორც მოსიყვარულე ღმერთის და აქედან გამომდინარე, თუ შენ სიყვარულზე ისაუბრე ცუდს არაფერს მოიტანს” (ექსპერტი დეკ. ა).* განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტის აზრით- *„ დაახლოებით 15 წლის წინ მარნეულის მუნიციპალიტეტში ისწავლებოდა რელიგიის საგანია და ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებს , ისინი ერთმანეთის რელიგიას ეცნობოდნენ, ერთმანეთის დღესასწაულებზე დადიოდნენ“ (ექსპერტი. თ. ქ)* . მისი აზრითაც უფრო გაუმჯობესდება ურთიერთობა.

ექსპრტების აზრით რელიგიის საგანი სკოლებში უნდა ისწავლებოდეს პირველი კლასიდან , რომ მათ ჩავუნერგოთ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების სიყვარული, უპირველესად ღმერთის სიყვარული, რათა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა , იყვნენ უფრო შემწყნარებლები . რაც შეეხება იმას თუ როგორი დამოკიდებულება ექნებათ მშობლებს ამ საგნის შემოღებასთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესო იყო მასწავლებლების მოსაზრება. მათი აზრით, მშობლები არ იქნებიან მოწინააღმდეგეები , პირიქით, ძალიან გაუხარდებათ , რადგან მათ შვილებს ექნებათ ღვთის რიდი, პატივისცემა , მეგობრების მიმართ უფრო მოსიყვარულეები იქნებიან.

რელიგიურად მრავალფეროვანია ჩვენი კუთხე , ამიტომ მნიშვნელოვანია რომ სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ მოსწავლეებს, რათა არ შეილახოს მათი უფლებები და არ იყოს ამ საგნის საწავლების დროს რომელიმე რელიგიისადმი მიკერძოვებული დამოკიდებულება. როგორც ექსპერტები აცხადებენ მნიშვნელოვანია თუ ვინ ასწავლის

რელიგიას და როგორ მიაწოდებენ ინფორმაციას მოსწავლეებს, რა ცოდნა აქვს მას სხვადასხვა რელიგიის შესახებ (შენ შეიძლება შენზე ისაუბრო სწორად და სხვაზე შეცდომით, ისაუბრო ემოციის ფონზე და არ ისაუბრო ის, რაც ნამდვილად ისწავლება იმ რელიგიაში). ამიტომ მათი აზრით, სწავლების მეთოდს გააჩნია. *„ კარგი იქნებოდა ქრისტიანი და მუსლიმი რელიგიური ადამიანების ხშირი შეხვედრები . ჩვენ აქ , საქართველოში საუკუნეებია ვცხოვრობთ , ერთ ქვეყანაში, საქართველო ჩვენი სამშობლოა .სამშობლო კი ადამიანის სახლია. ჩვენი სამშობლოც ერთია და ღმერთიც ერთია.“ (ექსპერტი , მ.ა)*

მიუხედავად ექსპერტთა მრავალფეროვანი მოსაზრებებისა ისინი ამბობდნენ ერთს , რომ რელიგიის საგანი უნდა ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში, მათი აზრით რელიგია, დააახლოვებს ერთმანეთთან მოსწავლეებს, მეტად ღირსეული და პატრიოტები გაიზრდებია თავიანთი ქვეყნის, ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს , რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ის რომ სხვადასხვა რელიგიის ადამიანები სწავლობენ სკოლებში ამ საგანს უნდა ასწავლიდეს საერო პირი , რელიგიათმცოდნე.

2.3 სიღრმისეული ინტერვიუ

მოცემული კვლევის ფარგლებში , ჩავატარე 7 სიღრმისეული ინტერვიუ, მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან . საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა ინტერვიუ მოსწავლეებთან , ისინი გვესაუბრნენ თავიანთ შეხედულებებსა და გამოცდილებებზე , რომელმაც მომცა კვლევისთვის მნიშვნელოვანი შედეგები.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ რელიგია, როგორც საგანი, უნდა ისწავლებოდეს საჯარო სკოლებში , მათი აზრით, ეს მნიშვნელოვანია , რადგან მარნეულის მუნიციპალიტეტი არის რელიგიურად მრავალფეროვანი , აქ სწავლობენ სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლები და ამიტომ რელიგიის სწავლება

დაეხმარება მოსწავლეებს იცნობდნენ პირველ რიგში საკუთარ რელიგიას და შემდგომ მისი მეგობრების.

„ ადამიანი სკოლის ასაკიდან უნდა გაეცნოს სხვადასხვა რელიგიას , ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის , რომ ჰქონდეს საჭირო ცოდნა ყველა რელიგიის შესახებ და სხვა აღმსარებლობის ადამიანს არ მიაყენოს შეურაცხოფა“ (რესპონდენტი, ს.გ)

ისინი აღნიშნავდნენ, რომ უნდა ისწავლებოდეს რელიგია , მაგრამ აქედან ორმა რესპონდენტმა აღნიშნა - კონკრეტულად უნდა ისწავლებოდეს მართლმადიდებლობა , რადგან მათი აზრით ჩვენ, ვცხოვრობთ საქართველოში და უმეტესობა ვართ მართლმადიდებლები , ასევე მათ მართლმადიდებლობა მიაჩნიათ ჭეშმარიტ რელიგიად.

” ბავშვები სწავლობენ რელიგიურ ცხოვრებას და ხდებიან უფრო ღვთისმოშიშნი, ეკლესიაში სიარულსაც იწყებენ და მოძღვრები ეხმარებიან სულის ცხონებისთვის, რაც უმთავრესია ამ ცხოვრებაში. ჩემი აზრით, უნდა ისწავლებოდეს მართლმადიდებლური რელიგია, რადგან ის ჭეშმარიტი სარწმუნოებაა“. (რესპონდენტი, ნ.გ)

ასევე იყო სკოლაში რელიგიის სწავლების მოწინააღმდეგე რესპონდენტი , რადგან მას მიაჩნდა რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რელიგიური მრავალფეროვნების გამო ეს გამოიწვევს კონფლიქტს . რაგდან შეიძლება მშობლები მოწინააღმდეგეები იყვნენ რომ ისწავლოს მისმა შვილებმა სხვისი რელიგია.

რესპონდენტები, ამბობდნენ რომ აუცილებელია რელიგიის საგანს ასწავლიდეს თეოლოგი, რადგან მან იცის რა არის რელიგია და ზოგადად ყველაფერი რელიგიის შესახებ , ხოლო სხვების აზრით, აუცილებელია რომ რელიგიას ასწავლიდეს კომპეტენტური პიროვნება , რომელიც სწორად მიაწვდის ინფორმაციას ბავშვებს.

„ რელიგიის გაკვეთილები აუცილებლად უნდა ჩაატაროს რელიგიის მაღალ დონეზე მცოდნე ადამიანმა , რათა ჭეშმარიტად მიაწოდოს ინფორმაცია“ (რესპონდენტი, ა. ი)

„ რელიგიის გაკვეთილები უნდა ჩაატარონ თეოლოგებმა, თუმცა უმჯობესი იქნება თუ სასულიერო პირები იქნებიან პედაგოგის ამპულაში ეს ახალგაზრდებს დააახლოვებს სასულიერო პირებთან და გაუჩნდებათ სურვილი ტაძარში სიარულის.“ (რესპონდენტი, ნ.გ)

„ჩემი აზრით, რელიგია სასულიერო პირებმა უნდა ასწავლონ, რადგან მათ უფრო მეტი გამოცდილება აქვთ ვიდრე, ჩვეულებრივ მასწავლებელს“. (რესპონდენტი, ლ.კ)

საინტერესო იყო გამეგო სწავლობენ თუ არა რელიგიას რესპონდენტები სკოლაში . უმეტესობამ აღნიშნა, რომ რელიგია, როგორც საგანს არ სწავლობენ სკოლაში , თუმცა ისტორიის და სხვადასხვა საგნის მეშვეობით აქვთ ზოგადი ინფორმაცია მართლმადიდებლობის, ისლამის და სხვა რელიგიების შესახებ . ასევე აღნიშნავდნენ რომ დადიან ეკლესიში და სასულიერო პირის საშუალებით იგებენ ინფორმაციას .

„სამწუხაროდ, არ ვსწავლობ რელიგიას სკოლაში, მაგრამ მყავს მოძღვარი , ძალიან კარგ დარიგებებსა და რჩევებს ვიღებ მისგან, თუ რაიმე მაინტერესებს მართლმადიდებლურ რელიგიაზე, მიხსნის და ამომწურვ პასუხს მცემს. მაგალითად, განვიხილავთ მრწამსის განმარტებას და ვსაუბრობთ სხვადასხვა საინტერესო რელიგიურ თემაზე“. (რესპონდენტი, მ.დ)

„ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების მეშვეობით , ბევრი რამ გავიგეთ რელიგიისთვის თავგანწირული გმირების შესახებ. ვინც ვართ მუსლიმები ისტორიის საგნის მეშვეობით ვისწავლეთ, როგორც ქრისტიანობის , ასევე ისლამისა და სხვა რელიგიების წარმოქმნის ისტორია“ . (რესპონდენტი, ს.კ)

ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წელი სწავლობდა კერძო სკოლაში , სადაც ასწავლიდნენ რელიგიას, კერძოდ, კი მართლმადიდებლობას, ეცნობოდნენ დოგმატურ საკითხებს , როგორიცა სამების დოგმატი , მრწამსის განმარტება დაასევე სხვადასხვა რელიგიების შექმნის ისტორიას.

ჩემთვის საინტერესო იყო თუ რა როლს ასრულებს რესპონდენტების ცხოვრებაში რელიგია , ზოგადად რამდენად რელიგიურები არიან და რაში გამოიხატება მათი რელიგიურობა. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა რომ რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ ცხოვრებაში, ზოგიერთი ცდილობს, რომ იცხოვროს რელიგიურად , იაროს ტაძარში , მეჩეთში და შეასრულოს ის რასაც რელიგია მოუწოდებს . რადგან რელიგია ასწავლის მათ სიყვარულს , ურთიერთპატივისცემასა და უჩვენებს სწორ გზას.

„რელიგია ჩემთვის ყველაზე გამორჩეული საკითხია, როდესაც რელიგიურ თემებს ვეცნობი და წმინდა მამების განვლილი ცხოვრების შესახებ ვიგებ ამბებს, სიხარულითა და სიმშვიდით ვივსები. წმინდა მამების გადმოცემიდან ერთ რამეს მივხვდი, რა განსაცდელიც არ უნდა შეხვდეს ადამიანს, ღმერთის დახმარებით აუცილებლად დაიძლევა.“ (რესპონდენტი, ნ.გ)

„ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის რელიგია (მართლმადიდებლობა) სულ არის და იქნება პირველ ადგილზე, რადგან მე ჩემმა რელიგიამ მასწავლა სწორი ხედვა და კიდევ სხვა მრავალი რამ.“ (რესპონდენტი, ლ.კ)

„ ვცდილობ, რომ შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე ვიარო ტაძარში. მყავს მოძღვარი და ვერ წარმომიდგენია თავი ეკლესიის გარეშე.”(რესპონდენტი , თ.შ)

რესპონდენტების ერთი ნაწილი ამბობდა , რომ არიან მორწმუნეები , მაგრამ ეს არ გამოიხატება ეკლესიაში, მეჩეთში ყოველდრიური სიარულით. უბრალოდ ცდილობენ, რომ იყვნენ კეთილები . მათთვის რელიგია დაკავშირებულია მოყვასის სიყვარულთან. რელიგია აფიქრებს ადამიანს როგორ მოიქცეს და როგორი უნდა იყოს ადმიანი.

„ რელიგიურობას მხოლოდ ტაძარში სიარული და წირვების მოსმენა არ განსაზღვრავს. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველწამიერად, პირადად მე, ძალიან ვგრძნობ ღმერთის ჩემთან ყოფნას“(რესპონდენტი , ნ.ს)

„მე ვარ მუსლიმი მორწმუნე და ჩემი რელიგიურობა იმით გამოიხატება, რომ არ ვასხვავებ ადამიანეს მათი ეროვნების, რელიგიურობისა, ფიზიკურობისა თუ სხვა ნიშნების გამო“ . (რესპონდენტი, ს.გ)

რაც შეეხება შემდეგ კითხვას , უნდა იყოს თუ არა რელიგიური სიმბოლოები საჯარო სკოლებში განთავსებული, რესპონდენტების აზრი გაიყო ორად , ნაწილს მიაჩნდა რომ აუცილებელია რელიგიური სიმბოლების განთავსება სკოლებში . მათი აზრით, ძალიან კარგი იქნება თუ სკოლებში მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის იქნება სამლოცველო კუთხეები , მათ მისცემს უფრო მეტ იმედსა და რწმენას , სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვები დაინახავენ განსხვავებულ რელიგიურ სიმბოლოებს ,

გაეცნობიან მათ მნიშვნელობას და ერთმანეთის მიმართ უფრო კეთილ განწყობილნი იქნებიან.

„ ჩემი აზრით, თითოეული მოსაწავლე და მასწავლებელი როდესაც ხატს დაინახავს,რწმენა განუმტკიცდება და სასიამოვნო ემოციით აღივსება". (რესპონდენტი, მ.დ)

ერთი ნაწილი ამბობდა , რომ რელიგიური სიმბოლოები არ უნდა იყოს განთავსებული სკოლებში . მათი აზრით, სკოლა არ არის ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელია რელიგიური კუთხეების მოწყობა , მითუმეტეს მარნეულის მუნიციპალიტეტში. აქ რთულია ყველა რელიგიური სიმბოლოს განთავსება სკოლაში . შეიძლება სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვებმა შეურაცხყონ ეს სიმბოლოები.

როდესაც ცხოვრობ ისეთ რეგიონში, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრეობენ , აუცილებელია რომ მათთან გქონდეს კარგი ურთიერთობა , გიყვარდეს , პატივს სცემდე , მეგობრობდე , არ შეურაცხყოფდე . მარნეული ის ადგილია სადაც დიდი ხანია ცხოვრობენ ერთად ქართველები, აზერბაიჯანელები , სომხები და სხვები . პირადად ჩემი გამოცდილებით შეიძლება ვთქვა, რომ აქ ვცხოვრობთ ერთად და ვმეგობროთ , არ მომხდარა დაპირისპირება და რელიგიური კონფლიქტი, შეიძლება რამდენიმე ადამიანს მოსვლოდა , მაგრა „მძაფრი" არ ყოფილა. აზერბაიჯანელები , ისევე როგორც სომხები და ქართველები, ვცხოვრობთ ერთად და გვესმის ერთმანეთის , ასევეა სკოლებში მოსწავლეების დამოკიდებულება , ისინი მეგობრობენ , ულოცავენ ერთმანეთს დღესასწაულებს და დადიან ერთმანეთთან . ჩემს კლასში ვსწავლობდით როგორც ქართველები , ასევე აზერბაიჯანელები და მე არასდროს განმისხვავებია ისინი აღმსარებლობის გამო. ვმეგობრობ და მიყვარს ისე, როგორც ქართველები. ამიტომ საინტერესო იყო გაგვეგო რესპონდენტებისგან როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან , სკოლაში რელიგიური განსხვავებულობის გამო თუ მომხდარა ვინმეს დისკრიმინაცია, თუ ყოფილან მომსწრე იმ ფაქტის, რომ როდესაც მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ რელიგიაზე, უცვლიან ერთმანეთს სხვადახვა ინფორმაციას , ეს გადაზრდილიყოს კამათში,(ჩემი რელიგია უკეთესია , ვიდრე შენი და სხვა...) .

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ მომხდარა ვინმეს დისკრიმინაცია რელიგიური განსახვავებულობის გამო , პირიქით, ერთმანეთთან მეგობრობენ.

„ჩემს კლასში 3 აზერბაიჯანელი სწავლობს, განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა გვაქვს , დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთის რელიგიას და ხშირად ვსტუმრობთ ერთმანეთს სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებზე.“ (რესპონდენტი, ნ.ს)

„იმიტომ , რომ ვარ მუსლიმი , არარსდროს არ გავმხდარვარ დაცინვის ობიექტი, პირიქით, ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ჩემს ქრისტიან კლასელებთან და ერთმანეთის დღესასწაულებზე დავდივართ, ვიზიარებთ ერთმანეთის ბედნიერებასა და სიხარულს“ (რესპონდენტი , ს.გ)

ერთმა რესპონდენტამ თქვა რომ მინახავს როდესაც, მოსწავლეები ჩხუბობდნენ რელიგიური განსხვავებულობის გამო , რადგან არ სცემენ ერთმანეთის რელიგიას პატივს, ან მიაჩნიათ რომ მათი რელიგიაა ჭეშმარიტია (მაგალითად , მუსლიმი ამტკიცებს, რომ მისი რელიგიაა ჭეშმარიტი , სწორი, მართლმადიებელი კი პირიქით, ეუბნება რომ შენი მცდარია და ჩემია ჭეშმარიტი), რათქმაუნდა იქნება ასეთი განსხვავებული აზრები , რადგან ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და როგორ ინფორმაციასაც მიაწვდიან, სჯერა და მისდევს მას.

საინტერესო იყო გაგვეგო რესპონდენტებისგან რამდენად შეუწყობს ხელს რელიგიის საგნის სწავლება სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეების დაახლოებას . როგორც აღვნიშნე ერთ-ერთი რესპონდენტი სკოლებში რელიგიის სწავლების მოწინააღმდეგე იყო, ამიტომ მან აღნიშნა, რომ რელიგიის სწავლება არანაირად არ შეუწყობს ხელს მოსწავლეების დაახლოებას , პირიქით შეიძლებაა უფრო დააშოროს ისინი და გამოიწვიოს კონფლიქტი, როდესაც ვკითხე თუ რატომ ფიქრობდა ასე , მიპასუხა - *„ ჩემი აზრით,ნაკლებად დაახლოებს , კონფლიქტი კი შესაძლებელია გამოიწვიოს. ბავშვებს მგრძნობიარე ბუნება აქვთ და ძირითადად, რთულია მათთვის განსხვავებული რელიგიური ადამიანის მიღება.“ (რესპონდენტი , ნ.ს)*

რაც შეეხება რესპონდენტების უმეტესობას , ისინი აღნიშნავენ რომ ძალიან კარგი იქნება რელიგიის საგნის შემოღება , მაგრამ ეს არ უნდა იყოს სავალდებულო და მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ არჩევით საგნად არჩევა . რელიგიის საგანი უფრო ტოლერანტულს

გახდის ახალგაზრდობას , არ დასცინებენ სხვის რელიგიას , რადგან როდესაც უცოდინარია ადამიანი, ადვილად შეუძლია სხვას დასცინოს და თავი მართალი ეგონოს. ცოდნა კი არის უმნიშვნელოვანესი გასაღები დაახლოებისა, ამ შემთხვევაში ცოდნა რელიგიების ისტორიისა. რელიგიების შესახებ ინფორმაციის გაზიარება გამოიწვევს ერთმანეთის რელიგიების პატივისცემას.

„მოსწავლეები გაეცნობიან რელიგიების ისტორიას, ეცოდინებათ მართლმადიდებლობა, ისლამი, ბუდიზმი და სხვა. ერთმანეთთან უფრო დაახლოვდებიან და გაუცვლიან ინფორმაციას საკუთარ რელიგიებთან დაკავშირებით.“ (რესპონდენტი, ნ.გ)

„ რელიგია ეს ხომ კულტურის და შენი პიროვნების ნაწილია.ის საოცრად დაახლოებს ბავშვებს ერთმანეთთან და უფრო ადვილად გაუცვლიან ერთმანეთს საკუთარ აზრებსა და შეხდულებებს.“(რესპონდენტი , თ.შ)

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტეების უმრავლესობა რელიგიის საგნის შემოღებას საჯარო სკოლებში მხარს უჭერს, მათი აზრით, რა თქმა უნდა საგანი უნდა იყოს არჩევითი და ძალით არ უნდა ასწავლონ. როდესაც ადამიანს რაღაც უყვარს და აინტერესებს, აუცილებლად მოინდომებს მასზე უფრო მეტის გაგებას, ასევეა თუ არ დავაძალებთ საგანზე დასწრებას , თვითონ გაუჩნდებათ სურვილი საგანზე დასწრებისა.

დასკვნა

საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების საბოლოო ანალიზის საფუძველზე , ვასკვნი შემდეგს:

პირველი ჰიპოთეზა - საზოგადოება მომხრე იქნება ისწავლებოდეს რელიგია მარნეულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში - გამართლდა.

მეორე ჰიპოთეზა - თუ სკოლებში შესაძლებელი იქნება რელიგიის საგნის სწავლება , ამ შემთხვევაში საზოგადოება მომხრე იქნება მოსწავლეებს მიაწოდონ ზოგადი ინფორმაცია რელიგიის ისტორიის შესახება და არა კონკრეტულად რომელიმე რელიგიაზე გაამახვილონ ყურადღება - გამართლდა .

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა რელიგიის სწავლებას საჯარო სკოლებში მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიიჩნევს , მიუხედავად იმის, რომ არცერთ სკოლაში არ ისწავლება , ისინი თვლიან რომ უნდა შემოიღონ როგორც არჩევითი საგანი და არა სავალდებულო. კვლევაში მონაწილე აზერბაიჯანელები, ქართველები , სომხები და სხვა ეროვნების ადამიანები, თვლიან რომ აუცილებელია ისწავლებოდეს არ კონკრეტულად რომელიმე რელიგია, არამედ რელიგიების ისტორია, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ზოგადი წარმოდგენა რელიგიების შესახებ. კვლევაში მონაწილე ექსპერტებისა და სხვა საზოგადოების წარმომადგენლების თქმით დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, სკოლებში სწავლობენ სხვადასხვა რელიიგის მქონე მოსწავლეები, ამიტომ ამ საგანს არ უნდა ასწავლიდეს სასულიერო პირი , საჯარო სკოლებში რელიგიას უნდა ასწავლიდეს საერო პირი , კომპეტენტური , პროფესიონალი და თავისი საქმის მცოდნე განათლებული პიროვნება. მათი აზრით, რელიგიის საგნის შემოღება უფრო დაახლოებს მოსწავლეებს ერთმანეთთან, რადგან რელიგია გვასწავლის სიყვარულს და ურთიერთგაგებას .

ექსპერტებს მიაჩნით რომ აუცილებელია დაწყებითი კლასიდან რელიგიის საგნის სწავლება, რადგან უფრო მარტივად შეისწავლიან ბავშვები. განათლების სფეროში მომუშავე ექსპერტების თქმით, მშობლები არ იქნებიან წინააღმდეგნი რომ სკოლაში ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, მარნეულის მუნიციპალიტეტში რელიგიური განსახავებულობის გამო არ მომხდარა ვინმეს შეურაცხყოფა, ან დევნა , პირიქით მოსწავლეებს აქვთ კარგი ურთიერთობა , დადიან ერთმანეთის დღესასწაულებზე, იზიარებენ ერთმანეთის სიხარულს , მაგრამ მათი აზრით, რაც მეტი ეცოდინებათ ერთმანეთის რელიგიის შესახებ , უფრო ტოლერანტულები იქნებიან.

რესპონდენტების უმეტესობა თავს მიიჩნევდა რელიგიურად , მაგრამ მათი რელიგიურობა მეტწილად არ იყო დაკავშირებული ეკლესიაში, მეჩეთში სიარულთან , ისინი ფიქრობდნენ რომ რელიგიურობა მხოლოდ სალოცავ ადგილებში სიარულით არ განისაზრვრება , მთავარია გწამდეს და გჯეროდეს ღმერთის. უმეტესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევდა რელიგია თავის ცხოვრებაში.

მოცემული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას , რომ საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლება მნიშვნელოვანი და საჭიროა, რათა უფრო დააახლოვოს ერთმანეთთან სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეები . გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა სწორედ ამიტომ ემხრობა რელიგიის საგნის სწავლებას სკოლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქეცბაია, კ. (2020) . რელიგიის სოციოლოგია . იხ. ელ ვერსია: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/nashromebi/Religiis_Sociologia.pdf
2. კალჰუნი.კ, ლაითი.დ, კელერი.ს (2008).სოციოლოგია, თავი, XIII, რელიგია.
3. ნამორაძე.ს (2018) რელიგიური ძალადობა თუ ძალადობა რელიგიის სახელით . იხ. ელ ვერსია : https://tdi.ge/ge/page/religiuri-zaladoba-tu-zaladoba-religiis-saxelit
4. პაპუაშვილი, ნ. (2002) მსოფლიო რელიგიები საქართველოში. თბილისი. იხ, ელ ვერსია: https://conlaw.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2012/10/Introduction.pdf
5. „რა არის ქრისტიანობა „ - ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია. (2006)
6. საქ. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქ. მოსახლეობა 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგად. ტომი I. თბ.2003წ). იხ, ელ ვერსია :https://www.geostat.ge/media/44559/I-tomi.pdf

7. საქართველოს კონსტიტუცია (1995)- Parliament of Georgia, The Constitution of Goegria საქართველოს კონსტიტუცია.იხ. ელ ვერსია : https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

8. ტაბატაძე, შ. რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში. იხ. ელ ვერსია: https://tdi.ge/ge/page/religiis-scavleba-sajaro-skolebshi
9. ღვინიანიძე, ლ და ბარქაია, მ. (2014), რელიგია საჯარო სკოლებში (განათლების პოლიტიკის ანალიზი რელიგიის თავისუფლების პოლიტიკიდან) , ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი(EMC), თბილისი . იხ. ელ.ვერსია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98.pdf

10. ჩიკვილაძე, ნ .(2006). მართლმადიდებელ მორწმუნეთა ჯგუფის ოჯახური ფასეულობები და დემოგრაფიული ორიენტაციები. იხ. ელ ვერსია :https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/143308/1/Disertacia.pdf
11. ჯაჯანიძე, ე (2015). რელიგიის სწავლების მნიშვნელობა საქართველოს საჯარო სკოლებში;
12. Ayto, J (2019). What is the literal meaning of religion", Dictionary of Word Origins. იხ. ელ ვერსია: https://gzipwtf.com/what-is-the-literal-meaning-of-religion/
13. Facing History & Ourselves, "Religion and Identity," (May 12, 2020). Four teenagers from different religious traditions reflect on their experiences of religious belief and belonging
14. Heyl, J. C., & MSW. (2023, May 8,). Religious abuse: Spotting the signs and how to Cope. Verywell Mind. იხ.ელ ვერსია: https://www.verywellmind.com/what-is-religious-abuse-6259926#citation-2